წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ. წყალტუბო 27მარტი, 2026 წელი

2026 წლის 27 მარტს, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნესტორ აფხაძე, სერგო კირკიტაძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: ნიკა მჟავია, არჩილ ღიბრაძე, ვაჟა ჟორჟოლიანი, რევაზ დიდავა; ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარეები: ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე;

წევრები:გიორგი ფაჩუაშვილი, მამუკა ჩხეტიანი, ჯეირან ომანაძე, რომეო ნიჟარაძე, ირინე ცაავა, ხათუნა მაღლაკელიძე, თამთა ვარდოსანიძე, ნინო ჭეიშვილი, ალექსანდრე ნიქაბაძე, თედო ჭოლაძე, ნაილი ჭოლაძე, ნოდარ ასათიანი, ავთანდილ მხეიძე, შალვა კილაძე, გია ხურცია, რევაზ მარგველაშვილი, დიმიტრი ომანაძე, ნუგზარ ქუთათელაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, მალხაზ მანაგაძე, ოთარ სულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა გურეშიძე, ვლადიმერ ხურცია, გელა ბაჯაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გია კვასტიანი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი-მალხაზ ჩხეიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''-ს მმართველი-მანანა ტყეშელაშვილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მმართველი ნინო ნემსწვერიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' მმართველი ირაკლი კუჭავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი - მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი ირინა ჩაკვეტაძე, მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები, პრესის წარმომადგენელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის , ილია მეორის ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით გაიხსნა. საკრებულოს თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრებმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და და უნეტარესის ილია მეორის ხსოვნას პატივი მიაგეს. საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, უწმინდესი და უნეტარესი არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის გახლდათ ეპოქალური პიროვნება , არამედ იგი მსოფლიო მასშტაბის ფიგურა იყო. ჩვენ მადლიერები ვართ, რომ მის ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება - განაცხადა თეიმურაზ ჭეიშვილმა.

საკრებულოს სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით გაგრძელდა.

1.,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ნიკა მჟავია/

2.სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე.

/მომხს: ნიკა მჟავია/

3.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

/მომხს: ნიკა მჟავია/

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

5.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: რევაზ დიდავა,თანამომხს: მალხაზ ჩხეიძე/

6,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის '' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა/

7.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: რევაზ დიდავა/

8.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს : ვაჟა ჟორჟოლიანი,თანამომხს:მანანა ტყეშელაშვილი/

9.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ვაჟა ჟორჟოლიანი,თანამომხს:ნინო ნემსწვერიძე/

10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების '' მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს : ლევან ჩანქსელიანი, თანამომხს: ირაკლი კუჭავა/

11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს:თეიმურაზ ჭეიშვილი/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე -31
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნიკა მჟავიას მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნიკა მჟავიას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნიკა მჟავიას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ''.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ ისაუბრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში, საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით, მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2025 წელს მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის უდიდესი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე.

წლის დასაწყისისათვის 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 35 375 700ათასი ლარით.

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 5 975, 7 ათასი ლარით.

2025 წლის პროგნოზით , მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 30 839,1 ათს ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 816,0ათსი ლარით.

2025 წლს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1.დამატებითი ღირებულების გადასახადის მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 2 186,0 მლნ ლარის ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

2.ქონების გადასახადის 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 600, 0 ათას ლარს;

3. გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) განისაზღვრება 354,0ათასი ლარით. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2025 წელს გაიზარდა 85,0ათსი ლარით. მიზნობრივი ტრანსფერი ძირითადა მოხმარდა ა(ა)იპ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის '' ფუნქციოენირებას.

4. 2025წელს არა საგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი შეადგენს 4 022,6 ათას ლარს.

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა 65 160 644ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრმა ხათუნა მაღლაკელიძემ დასვა შეკითხვა: როგორ მოიაზრება 2027 წლის ბიუჯეტში ტურიზმის განვითარება?

ტურიზმის განვითარება მუნიციპალიტეტში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ზრდის ადგილობრივ შემოსავლებს, ავითარებს ინფრასტრუქტურას და ხელს უწყობა მცირე ბიზნესის გაძლიერებას, აუმჯობესებს მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობას-აღნიშნა ხათუნა მაღლაკელიძემ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31
წინაამდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ'' შეფასდეს დადებითად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

6. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

7. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი

განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.
8.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა ჟორჟლიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ".
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.
9.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა ჟორჟლიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ' სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი
მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული

მუშაობა შეფასდეს დადებითად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

10. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების მმართველმა ირაკლი კუჭავამ აღნიშნა, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებაში'' 2025 წელს ირიცხებოდა 61 საშტატო ერთეული.სპორტულ კლუბებში და სექციებში მომეცადინე სპორტსმენთა რაოდენობა ითვლის 676 სპორტსმენს.

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' სპორტსმენებმა 2025 წელს მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებსა და საქართველოს ჩემპიონატებში. შედეგების მიხედვით ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სახვადასხვა სახეობებში.

30 მარტს, ორშაბათს, ფოთში წყალტუბოს რაგბის კლუბი ,,დინოზავრები'' ხვდება ,, რაგბის კლუბ ფოთს''. გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

11. მ ო ი ს მ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ'', მიღებული იქნეს

წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ბერძენიშვილი